თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 8

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

14 აპრილი 2022 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი;

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:** 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ჯემალ ისაკაძე, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. ბადრი ბუცხრიკიძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. შალვა ჭანკვეტაძე, 8. გოჩა ვერულაშვილი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. კახა ბუცხრიკიძე. 2. გრიგოლ გიორგაძე;

**საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა:** 11 წევრი
**დამსწრე წევრთა რაოდენობა:** 9
**კვორუმი:** 7 წევრი

**დღის წესრიგი:**

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია,,ევროპული საქართველოს" დაფუძნების შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**1 მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს" დაფუძნების შესახებ იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა - იურიდიულ კომისიას მიაჩნია, რომ საკრებულოს წევრებს, რომელთაც აქვთ საერთო მიზნები და ამოცანები, კანონიერი უფლება აქვთ შექმნან ფრაქცია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. ფრაქციის შექმნა შესაძლებელია როგორც პარტიულ, ასევე არაპარტიულ საფუძველზე. შესაბამისად არსებობს ფრაქციის შექმნის კანონიერი საფუძველი და პასუხობს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 30-ე მუხლის მოთხოვნებს.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** გატარდეს რეგისტრაციაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველო“, დაევალოს საკრებულოს აპარატს გადაწყვეტილება აცნობოს შესაბამის ორგანოებს.

*თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2022 წლის 14 აპრილის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი